



რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების
მონიტორინგი
წინასაარჩევნო პერიოდში

პროექტი # S-12-155

საანგარიშო პერიოდი: 27 აგვისტო - 9 სექტემბერი, 2012 წელი

პროექტის ხანგრძლივობა: 11 ივნისი-10 დეკემბერი, 2012
პროექტის ბიუჯეტი: 31 000 დოლარი

მონიტორინგის მეხუთე ეტაპის ძირითადი მიგნებებია:

- რეგიონალურ ტელეარხებზე მონიტორინგის სუბიექტების ძალიან მცირე ნაწილს ეთმობა დრო ;
- რეგიონალურ ტელეკომპანიათა უმეტესობა დიდ დროს უთმობს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გაშუქებას. გაშუქება თითქმის ყოველთვის პოზიტიურია;
- ხელისუფლების მიერ ინიცირებული პროგრამები ზედაპირულად, დამატებითი არგუმენტების გარეშე შუქდება. ტელეკომპანიათა უმრავლესობაში ეს გაშუქება დადებით ტონში ხდება;
- ტელეკომპანიების მხოლოდ მცირე ნაწილი აშუქებს ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს;
- გაიზარდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობის გაშუქების დრო. გაშუქების ტონი ძირითადად ნეიტრალურია და საინფორმაციო ხასიათს ატარებს;

ანგარიში წარმოადგენს "ინტერნიუსი - საქართველოს" მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2012 წლის 26 აგვისტო - 9 სექტემბრის მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგებს. მედიის მონიტორინგი ხელს უწყობს მისი პროფესიული სტანდარტის ზრდას და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის განვითარებას. ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონალური ტელემაუწყებლების მთავარ საინფორმაციო გადაცემებზე დაკვირვებით გამოვავლინოთ მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმდინარეობა და ტენდენციები.

ანალიზი და მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა საქართველოს 20 რეგიონალურ ტელემაუწყებელზე: "25-ე არხი" (ქ. ბათუმი), "რიონი" (ქ. ქუთაისი), ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი), "ოდიში" (ქ. ზუგდიდი), "თანამგზავრი" (ქ. თელავი), "მე-9 არხი" (ქ. ახალციხე), "თრიალეთი" (ქ. გორი), "გურია" (ქ. ოზურგეთი), "იმერვიზია" (ჭიათურა), "არგო" (ქ. ზესტაფონი), "გურჯაანი" (ქ. გურჯაანი), "ბორჯომი" (ქ. ბორჯომი), მარნეული ტვ (ქ. მარნეული), "ლტვ" (ქ. ლაგოდეხი), "მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი), "მეგა ტვ" (ქ. ხონი), "ზარი" (ქ. სამტრედია), "მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი), "ქრონიკა" (ქ. დუშეთი), "ეგრისი" (ქ. სენაკი).

26 აგვისტო - 9 სექტემბრის მანძილზე საინფორმაციო გადაცემები ჯერჯერობით ისევ არ ჰქონდათ ტელეკომპანია "ქრონიკას" (ქ. დუშეთი) და "ეგრისს" (ქ. სენაკი).

ისევ არასრული დატვირთვით მუშაობდა და კვირაში მხოლოდ ერთ საინფორმაციო გადაცემას ამზადებდა ტელეკომპანია "მეგა ტვ" (ქ. ხონი).

დაკვირვება მიმდინარეობდა რეგიონალური ტელემაუწყებლების სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე ე.წ. "პრაიმ-ტაიმის" პერიოდში, როდესაც მაყურებელთა რაოდენობა პიკს აღწევს.

პროექტში გამოყენებული მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის საშუალებების მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორცაა ეთიკური ან პროფესიონალური სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია. კერძოდ, ყურადღება ექცეოდა ინფორმაციის დამახინჯების, დაუბალანსებელი გაშუქების, ტენდენციურობის და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს ეთერში გასული იმ სიუჟეტების ქრონომეტრაჟს (წამი), რომლებიც ჩვენს მიერ წინასწარ შერჩეულ სუბიექტებს შესახებ მომზადდა ან სადაც ისინი ნახსენები იყვნენ.

დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მოცემულია წამებში. თუ დიაგრამაზე რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც მონიტორინგის სუბიექტს წარმოადგენს, არ არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ამა თუ იმ არხზე მას დრო საერთოდ არ დაეთმო.

პირდაპირი და ირიბი გაშუქება გვიჩვენებს, სიუჟეტში სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე საუბრობენ სხვები: ჟურნალისტი ან სხვა რესპონდენტები. დიაგრამებზე პირდაპირი და ირიბი გაშუქება მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამა თუ იმ არხზე დათმობილი დრო.

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს თავის თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: პოზიტიური, ნეიტრალური და ნეგატიური. გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამ არხზე დათმობილი დრო.

საინფორმაციო გამოშვებებზე დაკვირვებისას ასევე ყურადღება ექცეოდა იმას, რომელ მოვლენებს აშუქებდნენ ტელეკომპანიები რეგიონალურს თუ ცენტრალურს.

თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მოხდება მედიის მუშაობის ეფექტურობის ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით შეფასება. თვისებრივი ნაწილი აერთიანებს ისეთ კომპონენტებს როგორცაა ბალანსი, ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება; სიზუსტე (არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში), გამოყენებული ლექსიკა და ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს რომელიც არ იზომება რაოდენობრივად. ასევე ყურადღება ექცევა საინფორმაციოებში კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს.

მონიტორინგის სუბიექტები არიან: პარლამენტი (სპიკერი, ვიცე-სპიკერები, პარლამენტის წევრები, კომიტეტები, აპარატი); პრეზიდენტი (პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მრჩეველები, პრეს-სპიკერი); მთავრობა (პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, გუბერნატორები); ხელისუფლება (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ); ადგილობრივი თვითმმართველობა (მერები, საკრებულოების და გამგეობების თავმჯდომარეები); ცენტრალური საარჩევნო კომისია; არჩევნების დამკვირვებლები; სახელმწიფო აუდიტის სამსახური (არჩევნების კონტექსტში); ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია („სია“); ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო; კოალიცია ქართული ოცნება; თავისუფალი დემოკრატები; ეროვნული ფორუმი; საქართველოს რესპუბლიკური პარტია; საქართველოს კონსერვატიული პარტია; ხალხის პარტია; საქართველოს გზა; თავისუფალი საქართველო; ახალი მემარჯვენეები; დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის; ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; ლეიბორისტული პარტია; მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს; საქართველოს დემოკრატიული პარტია; ქართული დასი; ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა; ევროპელი დემოკრატები; ამომრჩეველთა ლიგა;


რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

სახალხო კრება; ოპოზიცია (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ).

ეს სია საბოლოო არაა და შეიძლება შეიცვალოს იმ შემთხვევაში, თუ გამოჩნდება არჩევნებთან დაკავშირებული ახალი სუბიექტი.


საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:

"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - საინფორმაციო გადაცემებში ყველაზე მეტი დრო, 31 წუთი ადგილობრივ თვითმმართველობას დაეთმო. 15 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას", 12 წუთი აჭარის მთავრობას, 10-10 წუთი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და მთავრობას. ლეიბორისტულ პარტიას წილად ხვდა გაშუქების 7 წუთი, ხოლო ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას - 5 წუთი.




სუბიექტების მიმართ გამოვლინდა გაშუქების სამივე ტონი. ყველაზე მცირე ნეგატიური ტონი (4%) კოალიცია "ქართული ოცნების" მიმართ დაფიქსირდა. ყველაზე მაღალი ზოგადად ხელისუფლების გაშუქებისას - 66%. სუბიექტების გაშუქებისას ნეიტრალური ტონის პროცენტული მაჩვენებელი ყოველთვის მეტი იყო პოზიტიურსა და ნეგატიურზე.

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი




სუბიექტების გაშუქებისას ხშირ შემთხვევებში პირდაპირი საუბარი სჭარბობდა ირიბს ან თანაბარი იყო. მხოლოდ ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე საუბრისას ირიბი (83%) ბევრად მეტი იყო პირდაპირზე (17%).




საანგარიშო პერიოდის საინფორმაციო გამოშვებებში დრო მონიტორინგის შედარებით ბევრ სუბიექტს დაეთმო. პოლიტიკურ პარტიებზე დრო მეტ-ნაკლებად თანაბრად გადანაწილდა - მაქსიმუმ 15 წუთი, მინიმუმ 3 წუთი. აღსანიშნავია, რომ მოვლენების გაშუქების დროს ჟურნალისტები ცდილობენ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით მაყურებელს განსხვავებული პოზიციები და არგუმენტები მიაწოდონ.


"რიონი" (ქ. ქუთაისი) - საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმოთ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (16 წთ.), მთავრობას, ხელისუფლებას (15-15 წთ.) და ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას (12 წ.).



სუბიექტები ძირითადად ნეიტრალური ტონში შუქდებოდნენ. ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონი ზოგადად ხელისუფლების გაშუქების დროს დაფიქსირდა. ყველაზე მაღალი პოზიტიური ტონიც ხელისუფლებაზე საუბრისას იყო.




სუბიექტებზე პირდაპირი საუბარი ხშირ შემთხვევებში სჭარბობდა ირიბს, ან თითქმის თანაბარი იყო:




ტელეკომპანია „რიონი“ მონიტორინგის სუბიექტების საქმიანობას აქტიურად აშუქებს. განვლილი ორი კვირის მანძილზე მთავარი თემა ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაცია იყო. ტელეკომპანია სისტემატურად ამზადებდა სიუჟეტებს პოლიტიკოსების ბრიფინგებისა და მოსახლეობასთან შეხვედრების შესახებაც.

ყველაზე დიდი დრო მმართველ პარტიასა და სამთავრობო სტრუქტურებს დაეთმო. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტის ტექსტი თითქმის ყოველთვის მიუკერძოებელია და არ ჩანს მისი პირადი დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის ან სუბიექტის მიმართ.


ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი) - ტელეკომპანიამ ყველაზე მეტი დრო, 21 წუთი, ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებას დაუთმო. 15 წუთი დაეთმო მთავრობას, 12 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და 7 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას".



სუბიექტების გაშუქებისას ძირითადად დაფიქსირდა დადებითი და ნეიტრალური ტონები, ხოლო კოალიცია "ქართული ოცნებაზე საუბრისას" - ნეიტრალური და ნეგატიური ტონები. სამივე ტონი გამოვლინდა პრეზიდენტის (გაშუქების 2 წუთი) და ხელისუფლების (გაშუქების 1 წუთი) შემთხვევებში.



სუბიექტებზე სხვები უფრო მეტს საუბრობდნენ. მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემთხვევაში (გაშუქების 3 წუთი) პირდაპირი გაშუქება ბევრად სჭარბობდა ირიბს (70% / 30%).




საანგარიშო პერიოდის საინფორმაციო გამოშვებებში დიდი დრო დაეთმო ქალაქ რუსთავში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ჩვენებას. სიუჟეტები ხშირ შემთხვევაში ერთგვაროვანია და ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით მაყურებელს განსხვავებულ მოსაზრებებს არ აწვდის. მაგალითად, 28 აგვისტოს ახალი ამბების ძირითადი

სიუჟეტები შემდეგ საკითხებს ეხებოდა: „სტუდენტური დასაქმების ხელფასები ჩაირიცხა“, „გზების რეაბილიტაცია გრძელდება“, „სამინისტრო სკოლებში წიგნებს დაარიგებს“.


როგორც აღვნიშნეთ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივობების შესახებ მომზადებულ სიუჟეტებში სჭარბობს პოზიტიური ტონი, ხოლო კოალიცია "ქართული ოცნების" მიმართ უარყოფითი ტონი ფიქსირდება. მაგალითად, 27 აგვისტოს საინფორმაციო გამოშვების ერთ-ერთ სიუჟეტში ჟურნალისტი აცხადებს: „ხელისუფლების მიერ სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დახმარებას „კოალიცია ქართული ოცნება“ დანაშაულად აფასებს“. სიუჟეტში არ არის მოცემული ამომწურავი ინფორმაცია, ამიტომაც ბუნდოვანია რის საფუძველზე აკეთებს ჟურნალისტი ასეთ დასკვნას.

"ოდიში" (ქ. ზუგდიდი) - მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დაეთმო - 16 წუთი. 4 წუთი წილად ხვდა მთავრობას და 2 წუთი ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას.




გაშუქებულ სუბიექტებზე მხოლოდ დადებით და ნეიტრალურ ტონებში საუბრობდნენ. თანაბარი იყო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქების პროცენტული მაჩვენებლებიც. ტელეკომპანია „ოდიში“ ორჯერ მეტი დრო დაუთმო ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, ვიდრე ყველა სხვა სუბიექტს ერთად. ამასთან, სიუჟეტებში ზოგჯერ ჟურნალისტის სუბიექტური დამოკიდებულებაც ჩანდა. მაგალითად: ჟურნალისტი მმართველი პარტიის ყრილობასთან დაკავშირებით ამბობს, რომ შეხვედრაზე „ხალხის უპრეცედენტო რაოდენობა დაფიქსირდა“.


"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე) - საინფორმაციო გადაცემებში ყველაზე მეტი დრო, 11 წუთი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დაეთმო, 10 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას", 4 წუთი - ხელისუფლებას, ხოლო 3-3 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობას, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას.



სუბიექტებზე ძირითადად პოზიტიურ და ნეიტრალურ ტონებში საუბრობდნენ. ყველაზე მაღალი პოზიტიური გაშუქება ჰქონდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (94%). გაშუქების სამივე ტონი გამოვლინდა კოალიცია "ქართული ოცნების", ახალი მემარჯვენეების და ხელისუფლების მიმართ. ხელისუფლების გაშუქებისას ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონი (71%) დაფიქსირდა.



სუბიექტებზე სხვები უფრო მეტს საუბრობდნენ:




მეცხრე არხი ყველაზე მეტად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და კოალიცია "ქართული ოცნების" აქტივობებს აშუქებს. წინა საანგარიშო პერიოდებთან შედარებით მეტი დრო დაეთმო ცენტრალურ საარჩევნო კომისიის საქმიანობის გაშუქებასაც.


აღსანიშნავია 4 სექტემბერის სიუჟეტი, სადაც ჟურნალისტის მხრიდან „ახალი მემარჯვენეები“ უარყოფითი კუთხით იყვნენ წარმოჩენილი. კერძოდ, სიუჟეტში განხილული იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის წესები იმის თაობაზე, თუ სად არის

ნებადართული წინასაარჩევნოდ პოლიტიკური შინაარსის პლაკატების გაკვრა. სიუჟეტში რამდენჯერმე ნაჩვენებია ერთი და იგივე კადრი - როგორ აძრობს ერთ-ერთი მოქალაქე ქუჩაში, ზოდიდან ახალი მემარჯვენეების წინასაარჩევნო სააგიტაციო პლაკატს.


"თანამგზავი" (თელავი) - მონიტორინგის სუბიექტებიდან საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო, 9-9 წუთი დაეთმოთ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და კოალიცია "ქართულ ოცნებას". ზოგადად ხელისუფლების გაშუქებას 7 წუთი დაეთმო, პრეზიდენტს და ადგილობრივ თვითმმართველობას - 5-5 წუთი.



ყველაზე ხშირად გაშუქებული სუბიექტების მიმართ სამივე ტონი გამოვლინდა. ყველა შემთხვევაში ნეიტრალური გაშუქება ბევრად სჭარბობდა პოზიტიურსა და ნეგატიურს. მხოლოდ ხელისუფლების გაშუქებისას გვქონდა თითქმის თანაბარი პოზიტიური (53%) და ნეგატიური (41%) ტონები.




თითქმის თანაბარი იყო სუბიექტებზე ირიბი და პირდაპირი საუბრის მაჩვენებლები. მხოლოდ ერთიან ნაციონალურ მოძრაობის შემთხვევაში ირიბი სჭარბობდა პირდაპირს.




ტელეკომპანია „თანამგზავრი“ ყველაზე დიდ დროს წინასაარჩევნო თემატიკის გაშუქებას უთმობს. სიუჟეტები მზადდება, როგორც მმართველი პარტიის, ასევე ოპოზიციური პარტიების შესახებ. ამასთან, ჟურნალისტის ტექსტი მიუკერძოებელია და არ ჩანს მისი დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის მიმართ.


"თრიალეთი" (ქ. გორი) - საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო ადგილობრივ თვითმმართველობას დაეთმო (8 წთ.). გაშუქების 6 წუთი ხვდა წილად მთავრობას, 5 წუთი-კოალიცია "ქართულ ოცნებას" , 3-3 წუთი - თავისუფალ საქართველოს და ახალ მემარჯვენეებს.



სუბიექტების გაშუქება სამივე ტონში ხდებოდა. მხოლოდ პოზიტიური და ნეიტრალური ტონები დაფიქსირდა კოალიცია "ქართული ოცნების", თავისუფალი საქართველოს და ახალი მემარჯვენეების მიმართ.




პირდაპირი გაშუქების მაღალი და ერთნაირი (74%) მაჩვენებელი ჰქონდათ თავისუფალ საქართველოს და ახალ მემარჯვენეებს. კოალიცია "ქართული ოცნების" შემთხვევაში გაშუქების ეს მაჩვენებელი თითქმის თანაბარი იყო, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში ირიბი გაშუქება ბევრად სჭარბობდა პირდაპირს.




რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

საანგარიშო პერიოდში (27 აგვისტო - 9 სექტემბერი) არხზე მომხდარი საკადრო ცვლილებების გამო 3 დღის განმავლობაში საინფორმაციო გადაცემები არ მომზადებულა. ეს გარკვეულად აისახა მონიტორინგის შედეგებზეც, წინა პერიოდებთან შედარებით მონიტორინგის ნაკლები სუბიექტი გაშუქდა. უნდა აღინიშნოს, რომ მოვლენების გაშუქებისას ჟურნალისტები ცდილობენ მაყურებლს ამა თუ იმ საკითხთან არსებული განსხვავებული მოსაზრებები მიაწოდონ.


"გურია" (ქ. ოზურგეთი) - გაშუქების ყველაზე მეტი დრო წილად ხვდა ადგილობრივ თვითმმართველობას - 6 წუთი. 3-3 წუთი დაეთმოთ თავისუფალ საქართველოს, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ხოლო 2 წუთი - ლეიბორისტულ პარტიას.



სუბიექტებზე ძირითადად პოზიტიურ ტონში იყო საუბარი. ნეგატიური ტონის (20%) მაჩვენებელი მხოლოდ ადგილობრივ თვითმმართველობაზე საუბრისას დაფიქსირდა.




სუბიექტების გაშუქების პირდაპირი - ირიბი მაჩვენებლები შემდეგნაირად გადანაწილდა:




ტელეკომპანია ძირითადად ადგილობრივ ახალ ამბებს აშუქებს და ყველაზე მეტ დროს ადგილობრივი თვითმმართველობას უთმობს. ასევე აღსანიშნავია, რომ წინა საანგარიშო პერიოდებთან შედარებით მეტი დრო დაეთმო ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობის გაშუქებას.

"იმერვიზია" (ჭიათურა) - სუბიექტებიდან ყველაზე მეტი საინფორმაციო გამოშვებებში ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დაეთმო - 18 წუთი. გაშუქების 7 წუთი ხვდა წილად


ადგილობრივ თვითმმართველობას, 5 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას" და 3-3 წუთი - პრეზიდენტს და მთავრობას.



ადგილობრივ თვითმმართველობაზე საუბარი მხოლოდ პოზიტიურ (89%) და ნეგატიურ (10%) ტონებში იყო. მაღალი პოზიტიური ტონი გამოვლინდა ასევე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (94%), პრეზიდენტის (97%) და მთავრობის (93%) შემთხვევებში. კოალიცია "ქართული ოცნების" მიმართ გაშუქების სამივე ტონი გვქონდა.




პირდაპირი და ირიბი საუბრების პროცენტული მაჩვენებლები უმეტესად თითქმის თანაბარი იყო:




ტელეკომპანია დიდ დროს უთმობს ჭიათურაში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატის, გელა ჩიკვილამის წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებას (94%-იანი პოზიტიური გაშუქება). ასევე დიდი დრო ეთმობა მმართველი გუნდის წარმომადგენელთა ინტერვიუებს. მაგალითად, 6 სექტემბრის საინფორმაციო გამოშვების ერთ-ერთ სიუჟეტში გიგი წერეთლის, რომელიც ჭიათურის მაჟორიტარობის კანდიდატთან ერთად შეხვდა ხალხს, 3 წუთიანი ინტერვიუ გავიდა.

"არგო" (ქ. ზესტაფონი) - ახალი ამბების გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებიდან მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისია (5 წთ.) და ადგილობრივი თვითმმართველობა (3 წთ.) გაშუქდნენ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის გაშუქების ასივე პროცენტი ნეიტრალური იყო, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის - პოზიტიური. ორივე სუბიექტის გაშუქებისას პირდაპირი საუბარი სჭარბობდა ირიბს: ცენტრალური საარჩევნო კომისია - 75% / 25%, ადგილობრივი თვითმმართველობა - 85% / 15%.




ტელეკომპანია "არგო" მხოლოდ ადგილობრივ ახალ ამბებს აშუქებს. მონიტორინგისთვის საინტერესო სუბიექტები ხშირად ვერ ხვდებიან საინფორმაციო გამოშვებებში. სააანგარიშო პერიოდში 1 წუთზე მეტი დრო მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობას და ცენტრალური საარჩევნო კომისიას დაეთმო.


"ბორჯომი (ქ. ბორჯომი) - მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო, 8 წუთი დაეთმო ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, 5 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობას და 4-4 წუთი მთავრობასა და პრეზიდენტს.



სუბიექტებზე მხოლოდ პოზიტიურ და ნეიტრალურ ტონებში იყო საუბარი:




სუბიექტების გაშუქება ძირითადად პირდაპირი იყო, მხოლოდ მთავრობის შემთხვევაში დაფიქსირდა ირიბი გაშუქების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი - 98%.



ტელეკომპანია „ბორჯომი“ პოლიტიკური პარტიების საქმიანობას ნაკლებად აშუქებს. განვლილი ორი კვირის მანძილზე მხოლოდ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის შესახებ მომზადდა ერთი სიუჟეტი. სხვა პარტიები კი საერთოდ არ უხსენებიათ.


სიუჟეტები ძირითადად სახელმწიფო სტრუქტურების პროექტებს ეძღვნებოდა და ძირითადად პოზიტიურ ტონში შუქდებოდა.

მარნეული ტვ (ქ. მარნეული) - საანგარიშო პერიოდის საინფორმაციო გამოშვებებში დაახლოებით 2 წუთი დაეთმო ახალ მემარჯვენებს. მონიტორინგის სხვა სუბიექტები არ გაშუქებულან.




ტელეკომპანიამ 27 აგვისტო - 9 სექტემბრის განმავლობაში მხოლოდ სამი საინფორმაციო გამოშვება მოამზადა. გადაცემის ქართულენოვანი ნაწილის ქრონომეტრაჟი საშუალოდ ხუთი წუთი იყო. ახალი ამბების გამოშვებებში მონიტორინგის მხოლოდ 3 სუბიექტი იყო ნახსენები. მათგან მხოლოდ ერთს დაეთმო 2 წუთამდე დრო.


გურჯაანი (ქ. გურჯაანი) - ყველაზე მეტი დრო (18 წთ.) მთავრობის გაშუქებას დაეთმო, 5 წუთი - ხელისუფლებას, 4 წუთი - ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და 3-3 წუთი ახალ მემარჯვენებს და კოალიცია "ქართულ ოცნებას".



სუბიექტზე ძირითადად პოზიტიურ და ნეიტრალურ ტონებში საუბრობდნენ. თუმცა, გამოვლინდა გაშუქების ნეგატიური ტონიც. ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონი (65%) ხელისუფლების მიმართ დაფიქსირდა.




სუბიექტების გაშუქებისას პირდაპირი საუბარი სჭარბობდა ირიბს, ან ეს მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო:




ტელეკომპანია "გურჯაანის" საინფორმაციო გამოშვებები ქვეყანაში მიმდინარე ახალი ამბებით იწყება, რომელსაც ადგილობრივი სიახლეები მოსდევს. საინფორმაციო გამოშვებებში შუქდება როგორც სამთავრობო სტრიქტურების მუშაობა, ასევე ოპოზიციური პარტიების წინასაარჩევნო შეხვედრები. აღსანიშნავია, რომ, წინა საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, ამჯერად უფრო მეტი დრო დაეთმო ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობის ჩვენებას.

"ლტვ" (ქ. ლაგოდეხი) - ტელეკომპანიამ ყველაზე მეტი დრო, 10 წუთი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დაუთმო, 3-3 წუთი დაეთმოთ ადგილობრივ თვითმმართველობას და მთავრობას. მონიტორინგის სხვა სუბიექტები საერთოდ არ გაშუქებულან.




სუბიექტებზე საუბარი მხოლოდ პოზიტიურ და ნეიტრალურ ტონებში ხდებოდა. ყველაზე მაღალი პოზიტიური ტონი (99%) გამოვლინდა მთავრობის მიმართ. ასევე მთავრობას ჰქონდა ირიბი გაშუქების 100 %-იანი მაჩვენებელი. დანარჩენი სუბიექტების გაშუქებისას პირდაპირი საუბარი სჭარბობდა ირიბს.


"მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი) - საანგარიშო პერიოდში არხმა ყველაზე მეტი დრო ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (12 წთ.) და კოლიცია "ქართულ ოცნებას" (8წთ.) დაუთმო. გაშუქების 5 წუთი წილად ხვდა მთავრობას.



ყველაზე ხშირად გაშუქებული სუბიექტებიდან სამივე ტონი კოალიცია "ქართული ოცნების" მიმართ დაფიქსირდა. კოალიცია თითქმის თანაბრად იყო გაშუქებული პოზიტიურ (27%) და ნეგატიურ (26%) ტონებში. მთავრობის მიმართ გამოვლინდა ნეგატიურ ტონში გაშუქების 2 %.




ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაშუქებისას ირიბი და პირდაპირი საუბარი თითქმის თანაბრად დაფიქსირდა, ხოლო კოალიცია "ქართული ოცნების" და მთავრობის შემთხვევაში ირიბი სჭარბობდა პირდაპირს.



ტელეკომპანია „მე-12 არხი“ ყველაზე დიდ დროს ერთიან ნაციონალურ მოძრაობას უთმობს. პოზიტიურ ტონში შუქდება მმართველი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მოსახლეობასთან შეხვედრის დეტალები. ამის პარალელურად მზადდება სიუჟეტი გიგა ლიპარტელიანის წიგნის პრეზენტაციის შესახებ, რომელშიც კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერ ბიძინა ივანიშვილის კრიმინალურ წარსულზეა საუბარი. სიუჟეტში არ არის წარმოდგენილი განსხვავებული მოსაზრებები. ასევე აღსანიშნავია, რომ სიუჟეტი კოალიცია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობაზეც მომზადდა, სადაც კოალიცია პოზიტიურ ტონში გაშუქდა, ხელისუფლება კი - უარყოფით ტონში.


"მეგა ტვ" (ქ. ხონი) - საანგარიშო პერიოდში ახალი ამბების გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო (4 წთ.) ადგილობრივ თვითმმართველობას დაეთმო, 3 წუთი - ხელისუფლებას, ხოლო 2-2 წუთი პარლამენტს, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და პრეზიდენტს.



სუბიექტების გაშუქებისას პოზიტიური ტონი სჭარბობდა ნეიტრალურს. ნეგატიური ტონი საერთოდ არ გამოვლენილა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაშუქებისას პირდაპირი საუბარი ბევრად მეტი იყო ირიბზე (91% / 9%). დანარჩენ შემთხვევებში ეს მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო.


სანგარიშო პერიოდის განმავლობაში 2 საინფორმაციო გამოშვება მომზადდა. სიუჟეტებში ძირითადად ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიმდინარეობა იყო ნაჩვენები. ხშირი იყო ერთმანეთის მსგავსი შინაარსის ინტერვიუები, რომლებშიც ხელისუფლების საქმიანობა დადებითად იყო შეფასებული.

"ზარი" (სამტრედია) - მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო (7 წთ.) ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გაშუქებას დაეთმო. გაშუქების 5 წუთი ხვდა წილად მთავრობას, 4 წუთი - პარლამენტს და 3 წუთი - ზოგადად ხელისუფლებას.




სუბიექტებზე მხოლოდ პოზიტიურ და ნეიტრალურ ტონებში იყო საუბარი და პოზიტიური ბევრად სჭარბობდა ნეიტრალურს. სუბიექტებზე სხვები უფრო მეტს საუბრობდნენ. პირდაპირი გაშუქების მაჩვენებელი მაღალი მხოლოდ პარლამენტზე საუბრისას იყო -96%. ტელეკომპანია „ზარი“ ძირითადად რეგიონში მიმდინარე სხვადასხვა მოვლენას, ძირითადად ინფრასტრუქტურულ პროექტების განხორციელების მიმდინარეობას, აშუქებდა. საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო აქტივობები არ გაშუქებულა. მონიტორინგის სუბიექტებიდან დრო მხოლოდ ადგილობრივ თვითმმართველობას, მთავრობას, პარლამენტს და ზოგადად ხელისუფლებას დაეთმო.

"მე-9 ტალღა" (ფოთი) - ტელეკომპანიამ ყველაზე მეტი დრო (4 წუთი) მთავრობას დაუთმო. 3-3 წუთი გადანაწილდა ადგილობრივ თვითმმართველობას, ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და კოალიცია "ქართულ ოცნებაზე".




გამუქებული სუბიექტების მიმართ სამივე ტონი დაფისირდა. მხოლოდ კოალიცია "ქართულ ოცნებაზე" საუბრობდნენ ნეიტრალურ (84%) და პოზიტიურ (16%) ტონებში.

ხელისუფლებაზე საუბრისას გამუქების სამივე ტონი თითქმის თანაბარი იყო.



ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გამუქებისას ირიბი (62%) საუბარი სჭარბობდა პირდაპირს (38%), კოალიცია "ქართული ოცნების" შემთხვევაში კი პირიქით იყო. სხვა სუბიექტების გამუქებისას ეს მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო.



ტელეკომპანია „მე-9 ტალღამ“ საინფორმაციო გამოშვებები 31 აგვისტოდან ალადგინა. ჯერჯერობით, თვისებრივი ანალიზისთვის საკმარისი მასალი არ გვაქვს. თუმცა ამ ეტაპზე შეიძლება ითქვას, რომ სუბიექტებში ბალანსი ძირითადად დაცულია, ჟურნალისტის ტექსტი კი მიუკერძოებელია და არ იგრძნობა მისი სუბიექტური დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის მიმართ.

მომავალში განსახორციელებელი სამუშაო:

10-16 სექტემბრის მანძილზე განხორციელდება რეგიონალური მაუწყებლების მონიტორინგის მეექვსე ეტაპი.



ანგარიში შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია "ინტერნიუსი-საქართველო" და იგი არ ასახავს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.

